დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 18—19
1934 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8

№ 18—19

ტფილისი

გაზ „კომუნისტის“ გამ-ბა

1934

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦★✦

შინაარსი

ა. მაშაშვილი — ენგური (ნაწყვეტი პოემიდან).
ა. ჭუმბაძე — ილეკის ჩანჩქერი.
ლ. ქიქოძე — ნიკოლაძის ატელიეში.
ტ. აცანელი — იალალებზე (ნარკვევი).
ფირდოუსი — ლექსი.
პ. ჩხიკვაძე — ნადირობა.
შ. ალხაზიშვილი — კინო საქ. ხელისუფლების დამყარებამდე.
მოც. მკითხველი. — მოცლილი მკითხველის შენიშვნები.

✦★✦

რუსი მწერალი ი. ერენბურგი. მწერალთა საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე.

პ.-მგ. რედაქტორი: ვ. მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი,
აკ. ჭყონია, ლევ. ახათიანი, ალ. სულავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. მაჩაბელი



ნანუკელი პოემიდან

მარტოდ-მარტოა, თავჩაკიდული,
ზის და კითხულობს წიგნებს ხშირ-
ხშირად,
ღღეც. როგორც გვერდი
გადაკითხული
ღღეს ემატება, რხევით შრიალით.
ისევ უმწეო და უსაქმოა,
არვინ ნახულობს, არვინ უძახის,
თითქოს ოთახი სატუსაღოა,
თვითონ — ტუსაღი!
ეხლაც სარკმელთან ზის — და
ბავშვივით
ბაღს გადაჰყურებს ნოხით
მოფენილს,
მის წინ ჭადრის-ხე ტოტებ
გაშლილი
დგას — და ხელს უქმევს ყვითელ
ფოთლებით!
გარეთ შუადღის მზეა-და,
სიცხავს
ბუნებას, ბაღს — და ფოთლების
ლაჟვარდს,
უცებ გაიღო კარი — და
მკვირცხლად
შემოიჭყიტა მეზობლის ბავშვმა:
— შენა ხარ რამაზ?
— აი, მე რა მაქვს!
— ვინ მოგიტანა?
— მამამ...
— ტყვიები თუ გაქვს?
— როგორ არა მაქვს, გესვრი თუ
გინდა.
გასწიე თავი, გასწიე თორემ...
ძლივს აიცდინა შალვამ ტყვია — და
ისევ ბავშვისკენ შემოტრიალდა,
ბავშვს კი თვალების ბრწყინვა —
ციმციმით
უხარია-და კვდება სიცილით:
— ეხლა წავალ და ჩიტებს
დავხოცავ,
შენ არ წამოხვალ?
— არა.
— რატომ.
— არ შემიძლია.
— რატომ?
— ავათ ვარ.
— რატომ?
— ფეხი მტკივა.
— რატომ გტკივა ფეხი?
— იმიტომ, რომ
პერპენდიკულიარულია!
ბავშვს ამ სიტყვაზე აუტყდა კიდევ
სიცილ - კისკისი და იბერება,
კუნტრუშ - კუნტრუშით იცა
დერეფანს
და კისრისმტვრევით ჩავიდა კიბე:
„შალვა, ჩიჩია, რა ზარმაცი ბიჭია,
სანადიროთ აღარ მოდის
სახლში ყოფნა ირჩია".
მიიმღეროდა ჟღურტულით ბავში
და ასკინკილით მიხტოდა ბაღში!

—:—

დიდხანს უყურა ბავშს, თამაშობით
ბაღს რომ იკლებდა გახარებული,
და მოაგონდა თავის ბავშობის
დრო სიზმარივით გაქარვებული,
იგი დრო-შავი, დრო საღონარი,
და მაინც ტკბილად მოსაგონარი:
აი, შეყრილან გოგო-ბიჭები
ჯოგი შორს სადღაც გაფანტულია,
ერიამულობენ და გაგიჟებით
რიკდაფელობა გამართულია.
მის წინ ჰავა დგას, თვალებს
მხიარულს
ხარბად ჩასცქერის ბავშურ
ღიმილით,
ხედავს—საკუთარ სახეს ჭკვიანურს,
ეს მის—საკუთარ თმების ბიბინი!
მაგრამ სერი ამ დროს თუ გინდათ,
სადღაც გამქრალან ცელქი
მწყემსები,
უცებ აართვა ქალმა ქუდი-და
გარბის—აბაჰე, თუ დამეწევი!
გამოეკიდა, მისდევს ნიადაგ
და ორიეენი სადღაც მირბიან,
ჰავა წაიქცა, წაკოტრიალდა,
ბალახს გაება, როგორც ნიბლია!
ეცა, შებოლა ქალის სხეული
თხრილში პირალმა წამოქცეული,
გულმკერდი ოდნავ ამოწეული
ხელის მუშაში ჰყავს მობუყვდეული!
ატყდა, აემღვრა მთელი სახე—და
დაეურდნო, იგრძნო სუნთქვა მხურ-
ვალე,
თითქოს—და, ჟინის ამოსაყრელად
ქალს დაეწაფა ტუჩზე მწყურვალედ!
ჰავა წამოხტა, თვალაბორგებით
ზვერა დაუწყო ირგვლივ მიდამოს,
მისინჯ-მოსინჯა კაბის ფოჩვები
ხანძარი ხომ არ წამეკიდაო!
გამოედევნა, გულალტკინებით
„მაპატიეო" თხოვდა დუდუნით,
ქალი ხელსახვევს კვნეტდა
კბილებით
და მიდიოდა შინ გაბუტული.
სდუმდა.. სიავით ქროდა სიო—და
ცა გუგუნებდა, როგორც ღუმელი,
ზღვაზე გუნდ-გუნდათ ამოდიოდა
ზღვის ფრინველების
შავი ღრუბელი!
და იდგა დარი უამინდობის,
ყრუდ წკრიალებდენ წვიმის
წვეთები,
თვალწინ ლურჯისფრად ეგდო
მინდორი
თვალივით ვრცელი
და შორსმჭვრეტელი!
რა კარგი იყო ეს თამაშობა,
ეს გულუბრყვილო აზრი, ოცნება,
ლაუბრუნებელ დღეთა ბავშობა
და სიყვარულის გასხივოსნება?
მართლა: ცხოვრება გზებს ედარება,
გზებს, გადაკითხულს როგორც
სტრიქონებს,
რა უმაღლესი ნეტარებაა
როცა ბავშობის დღეებს იგონებ?
ფიქრზე ქალამნით, ტანზე შინელით,
ხელში საყვარელ წიგნთა კრებულით
მუშტაკს მიადგა კომკავშირელი
უმაღლეს სწავლას. მოწყურებული,
თექვსმეტს მორჩა და... ჩადგა
ჩვიდმეტში,
ულიაშებ ოდნავ ამწვანებული!
ის მუშა იყო, მიწის ფენიდან,
ზრდილი ნადურის
ტკბილ სიმღერებით,
მიწის ხმა ჰქონდა, მიწის ფერი-და
მიწითვე ჰყარდა მისი ხელები!
შემდეგ? შეჯიბრი,
შებმა სწორებთან,
წიგნ- ცხოვრების ციხეა აქცია
სახელოვანებმა პროფესორებთან
ქარიანია პროექტის დისერტაცია!
ფიქრობს, გასცქერის.
ბაღს ნაღვლიანად,
უცებ, სარკმელი გახსნა ნიავმა:
ხელი შემოჰყო ჭადრის-ხემ
ფრთხილად

და შალვას თავზე წაუპოტინა!
შეკითხა, ხომ თითქოს რაღაც აცნობა.
განა მას კაცის დარდი არ ესმის?
ხის ლმობიერი ეს თანაგრძნობა
ეამა როგორც დედის ალერსი.
...ბევრ ბრძენი ხარ, ხეო დიდი ხარ,
საუკუნეებს უძლებ სიმაგრით,
უკან ვერ ახევ, წინ ვერ მიდიხარ,
მაინც იზრდები სიღრმით,
სიმაღლით!
მე კი ჩემშიც ვარ მომწყვდეული,
სული მეხუთვის, სუნთქვა მძიმეა,
თითქოს-და, კუნტი ჩემი სხეული
ჩემივე სულის საპყრობილეა!
ჩემში „მე“ ცალკე გამოყოფილა,
ებრძვის გულსა და,
სხეულს შორდება,
ვაჰმე, რა ძნელი საქმე ყოფილა
თავისი თავის წამოჩოქება?
ბურმე სჯობია ათასთან ბრძოლა,
ვიდრე საკუთარ „მე“-სთან
გასწორდე,
კაცი დაკარგავს ყოველგვარ
გრძნობას,
თავდაცვის გრძნობას კი არასოდეს:
როგორ მსურს ვიყო დაუცხრომელი
კვლავ ვამიტაცოს ხარბმა ბრძოლამ,
მეწოლოს გმირი ახალ ცხოვრებას
და ვაკეთებდე ხალხის მომავალს,
თორემ რათ მიღირს ყოფნა ონავარ,
თუ კი შრომის-და
ბრძოლის მონა ვარ?
საქმე ის არის, კაცმა დოიიანდელ
დღის გადალახვა შესძლოს, გაბედოს,
თვალი თუ წვდება
ვარსკვლავებამდე,
რა უჭირს ხვალას დღეს რომ
გახედოს?
აი, წამი ღა... მორჩა, გავქრები,
გაქრება ჩემი აწმყო, ბერმისი,
გამამტყუნებენ ამხანაგები
ასეთ უმსგავსო საქციელისთვის!
რა ვქნა? ტყვე გავხდი
ბრმა დაბრკოლების,
ძნელია გულს-რომ გრძნობა
შებორკავს
ჩვენ თუ ეპოქას ვაღწევთ გონებით,
გრძნობით ჩამოვრჩით მაინც ეპოქას!
ხომ შეიძლება დიდებს, პატარებს
ერთი გზა ჰქონდეთ, ერთი მიზანი,

პოეტი ა. მაშაშვილი



მაინც სხვადასხვა ფიქრებს ატარებს
ხალხი სხვადასხვა სიმაღლისანი!
არ ვიცი ეს გზა და ეს სილაჩრე,
შიშის ბრალია თუ სიამაყის,
დამნაშავე—ვარ მე ჩემს წინაშე,
ვით ჩემ სიკვდილში ეს იარაღი!
(მე ხომ მსხვერპლი ვარ არა შემ-
თხვევის
არამედ კაცთა დაუდევრობის).
ეხ, ჩემო თავო, გეყოფა ბოდვა,
რა გინდა, რა ხარ, მაჩანჩალა—ხარ,
იმას მიეხლოს ეს ჩემი ცოდვა,
ვინც მე ამრიგად გამაჩანაგა!
ხელი დაარტყა მაგიდას ძალად
ყელზე მოწოლილ ბოღმას ჰყიოდა,
სტრიქონზე ძალით შემტვრეულ კა-
ლამს
ჯერ კიდევ მელნის სისხლი სდიოდა!
ბნედა მოაწვა თავში—და თვალთა...
ხელი უბისკენ მიაქვს კანკალით,
...—ვაჰ, დიაჩქიმი! ხრიალით თქვა და,
ძოიგს მიიტანა ყურზე ნაგანი...
ესეც:
შეაკრთო ნაცნობმა ხმამ,
ნაგანს სასწრაფოდ მალავს, ტრია-
ლებს,
კარს შემოარღვევს, შემორბის მამა
და ჯოხით ქალალდს მოაფრიალებს:
— შვილო შალიკო, სად ხარ აქამდი,
იქ მოგელიან, რალას აპირობ,
ჩვენმა ქარხანამ უკვე ქალალდი...
აი, შეხედე გოლუაფირო!
— ქალალდი? როგორ, ეს რამ
გაღლირს?
ეს ხომ პირდაპირ
მაშ ამდენ ჯაფას
ხიას
სჩანს, უშედეგოდ არ ჩაუვლია.
— ჰო და თქვენც გერგოთ ამ
ჯაფამიაც
ხალხმა, ქარხანამ ერთხმად ითხოვეს,
შენ, ინჟინერი, და ჯანაშია
შრომის ორდენით დაგაჯილდოვეს!
—ორდენი, ხალხმა, მთელმა ქარხა-
ნამ?
და შალვამ ამ დროს ხელის სავსავით
ისე ხმამაღლა გადიხარხარა,
რომ ფანჯარამაც იწყო ზანზარი!
— ნუთუ მოვესწარ ჩემს ნაყოფიერ
შრომას, რომელიც ფაქტად ქცეულა?
ქალალდს დაუწყო კოცნა გრძნობიერ
გაგიჟებამდე აღტაცებულმა.
— ხალხი ბევრია?
— ქარხნის გულისთვის
თავმოყრილია მთელი სოფელი,
ღელავს, ხმაურობს ხალხი ურიცხვი,
სიხარულია განუზომელი!
გენახა როგორ გაისმა მაშინ
განუწყვეტელი ვაშა-და ტაში,
როცა ერთ-ერთი მუშის კარნახით
ენგურ-ქალალდის პირველ ნიმუშზე
სიტყვა დავწერეთ ქარხნის მუშებმა
და გავუგზავნეთ სტალინს პატაკი!
რა გარდატეხა ხდება ერებში,
მახსოვს ძველი დრო, ძველი წესები
ეხლა? (ხითხითებს) ამ სიბერეში
მგონი სოციალიზმს მეც მოვესწრები!
ხალხი დაიძრა ენგურისაკენ,
გზაზედ მხიარულ ჰანგებს მღერიან,
ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით
მთიდან ტიეების ტალღებს ელიან!
შვილს ჩასცქეროდა მამა
მხნეგულით,
შენც „გამხნევდიო“ ხელი მოხვია,
გამოცცლილია, განახლებული,
გლეხის გული-და, ფსიხოლოგია!
— მამავ, მოვდიეარ, მომეც ხალათი,
მას რახანია შკაფში ვინახავ,
ახალი ქუდიც, ჩემი ახალი
ფეხსაცმ... წამოცდა შალვას
ენიალამ
და შემოაწვა გულზე ბალღამი!

არისტო ჭუმბაძე

ლეგენდა ჩანჩქერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთის უბეები ბინდის ლაინს შეებორბლა. უტეხ ნაძვნარის აყრილ ქეჩოზე აქა-იქ ნისლის ქულები გაპენტილიყო. ზავი ტრის ხრაზს ვეღ ცხლის ქსოვილად დაპკიდებოდა ილეკის პატარა ჩანჩქერი. ხოლო შორს, სტოკჰოლმის მხარეს, უდაბურ ტყეთა წიალიდან, ცაკლობის კენტი თვალიკით კიაფობდა მოსისხლე მარნი.

სერსგადამდგარნი უნებურად შევდექით. უხილავის ნახვამ უეცრად დაახლოა ჩვენი ტუჩები: თვით გაგვიკვირდა. როცა ერთმანეთს მოვწყდით, გულლიად შეეცინეთ და ხელ-ჩაკიდებულნი ჩანჩქერისკენ სირბილით დავეშვით....

ვიწროდნაკერავი ბაბა სირბილს უშლიდა, მალი-მალ იკუნთებოდა. ნაფოტივით ავიტაცე, ბავშვივით ავიტატე და სირბილს უფროც ვუმატე. ძმა ქერა თმის ჩამოშლილი ულულები სყველოში მიძვრებოდა, ტკბილ-მწვავედ მღლეტუნებდა: მოხლები მეკვეთებოდა, მაგრამ მაინც შეუსვენებლად მიეჭროდი.

აბა, ჩანჩქერსაც მივალწიეთ... მისვლისას ნუკრიანი შველი გავაფრთხეთ.

— ჩვენია, სამელად ჩამოსულან. წაჩურჩულა ლეგენმ.

ნაკადის პირას დიდი თეთრი ლოდი ეგდო, ზვავისგან ჩამონაგლეჯი. იმაზე დავსვი და მეც იქვე მოვიკეცე. სუნთქვას ძლივს ვიბრუნებდი, დაღლილობისა და ღელვის გამო. ნარნარად წამორწია. ოფლიანი შუბლი თვისი ცხვირსახოცით შემიშრო. ყელსაბამი შემომხსნა და... ნიკაპქვეშ ორის თითით, თითქოს უცაბედად მოუვიდაო, ოდნავ მიაღერსა. მერე თავი ნაზად ამიწია, ქვეშ გაშლილი ხელი დაუდო და კალთაზე დაისვენა; მეორე ხელით აშლილ თმას მიოშავდა და, სიცრცეში თვალწარტაცებული, რაღაცას თავისთვის ჩურჩულებდა, გაუგონელსა და გაუგებარს.

ოთქმელი სიამით გათანგულმა თვალი მოვლულე და გვეყურდი. ჟამი და სიცრცე წარიშალა. ვგრძნობდი, რომ სულში ნაკადივით გშეებოდა რაღაც ნანატრი და შეულვნელი. საღაც რაღაც მტკიოდა, ტკბილად და მოუსვენარად. ლეგენი კი ჩურჩულებდა, ჩურჩულებდა...

— რას ამბობ, ლეგენი, რას ჩურჩულებ?

ოდნავ შეკრთა, თითქოს, სიზმარს გამოერკვაო.

— აი, იმ ჩანჩქერის ლეგენდა მაგონდება.

— ლეგენდა?

— დიახ. ვიკინგის ქალი იყო თურმე, ქედმაღალ სკანდინავიის ასული.. როცა მეკობრეებმა მამა და ძმები დაუხოცეს, თვითონ აიღო ბაბისეული მძიმე ხმალი. ნავი სარმრად გაანამზადა და აფრაალმართული შეაცურა ბალტიის უნდო ტალღებში. სამი დღე და სამი ღამე უგეზოდ ეხეტიალა მოსისხარების ძებნაში. მრისხანე ქარიშხალმა იალქნები დაუფრიწა. ზღაფრმა ორთაყვირა ნაფოტებად უქცია: მიზანი მაინც არ დაუგდია...

მეოთხე დღეს, განთიადისას, ბობოქარმა ზღვამ გაცვრცნილი ნავი ეროს კუნძულს გარიყა. ის-იყო, ნაპელზე ფეხი უნდა დაედგა, რომ წია ხუხუნით ფრთიანი ისარი დაეჩო. წამს მშვილდი მოიმარჯვა და ოთხი საშინელი ისარი ოთხივ კუთხით აფრინა. მერე ანაზდად დაიბარა, დარჩობილი ისარი ამოაძრო და.. განცვიფრდა: ისარი მამისეული იყო!

საბრძოლველად განემზადა: ჩაფხუტი ჩამოიზიდა, ხმალსაც ფხა გაუსიჯა. მარჯვენა ფეხი რომ დაჰკრა, კოქამდე ქვიშაში გაიარა. იდგა და ელოდებოდა. ისარი მეყვსეულად გაბმიოდა. ერთის წუთითაც არ შემდრკალა. ყიჟინა რამ ესმა. ნახა, რომ ცხრა ვაჟკაცი, ხმალამოწვდილი, სტვენით მისკენ მოილტვოდა. წინაპართა წარმინებული სახელები ახსენა, ხმალი იშიშვლა. ერთი ცხრას მიეტია, ეთ ლეკციანი ძულმი. მოსულთ რკალი ჰქონეს, შემომესრეს „დაგნებდი!“ — მიაძახეს. იუკადრისა. მარჯვენით მიგარდა: ერთს თავი გააგდებია, მეორეს — მკლავი ხმლიანი. მარცხნით სწვდა: ცალიერ ასპარეზი — ღა ნახა...

როცა პირი იბრუნა, მის წინ რჩეული ვინმე აღიმართა, სვეტადასული. თვალით გაუზომეს ერთმანეთი. ხმლები დააჯვარედინეს. სცა ქალმა და ფოლადს დააკვესა. ჰკრა ვაჟმაც და მუხარადი მოგლეჯა. ბოგლეჯა და.. განცვიფრებული გაქვავდა: მორკინალის შვენებამ თვალი დაუბრმავა. ხმალი დააგდო, მუხლი მოიყარა:

— მზეო, მზეო, ელდარას ვხედავ!

ქალმა დაგდებული საჭურველი მიაწოდა და უბრძანა:

— დამიბრუნე მამა და ძმები!

— მთელ სამფლობელოს დაგითმობ, ტახტს დაგსვამ და გეთაყვნები!

— მამა და ძმები! ან საკუთარი თავი!

— მარად და მარად გეყმობი, ვით მონა ყურმოჭრილი, ოლონდ... ოლონდ მაცნე ვინაობა შენი.

— მე ილეკი მქვია, ესე იგი, განოიადის ნაშობი.

— ო, კურთხეულ იყოს მშობელი შენი, მზის ასულო! — მოუგო ვაჟმა და პირქვე დაეშვა, — მიბრძანე შენს ფეხთა მტვერს!

ქალმა გული იბრუნა:

— მამა და ძმები შენ დამიხოცე, ჩემგან რაღას ელი?

— არა! მე უბრალო ვარ.

— მაშ, სად არიან?

— ჩემს ყმებს შებმოდენ მარგალიტის ნადაგლისათვის, ფინეთის ბატონისთვის რომ წაერთმიათ, ყმებს ეძლევნათ, ტყვედ წაეყვანათ და...

— მერე?

— ..ახლა ხელისწინაქვილებს უსხენ ქერის საფქველად.

— გამყევ, მიჩვენე!

ვაჟმა ბუკი აყვირა. ელვის უსწრაფეს მაშველნი ეახლენ ერთის მარქაფით. მარქაფს ქალი შესვეს, თვით უკან მიჰყვენ. ცხრა ხევი გაველეს, ცხრა კოშკით გამაგრებული. მისაქციელში ცეხე იყო ცადაზიდული. როცა გალავანს მიუახლოვდენ, ისარი გადააფრინეს ნიშნად მოყვრული მისვლისა. ალაყაფი მაინ ფართოდ მოეფინა და წინ სეფეასულნი შეეგებენ ნაირნაირად მორთულნი. ქალი თავაზით ჩამოსვეს. ფიანდაზი დაუფინეს და დარბაზზე ისე გაატარებიეს.

ჰკვირობდა ქალი უთვალავ სიმდიდრესა და სანახაობას. ცქერა წარუღო პატრონსან თვალია რაგინდრაფერმა ციალმა.

მთავრის სამყოფელს შეეყვანეს. საჭურველი შემოხსნეს, ყარყუმი მოსხეს. სადღეფლო ტახტს დაესვეს, მუხლი მოიდრეკეს და ხელალ-

პყრობით უგალობეს დიდების საგალობელი:

ქალის გული უნდოა და ცვალებადიო, ასე ამბობს ბრძნული კალევალა. როცა ბედის საწყორზე ქალწულმა ერთ მხარეს თავისიანების დათხრილი თვალები დასდო, მეორეს კი — მიძღვნილი ძვირფასი თვლები, საგანძურმა გადასწონა თურმე.

მაშინ სცეს ქოსსა და ნაღარას. ანაზდეულად ქორწილი გააჩაღეს. მაგრამ ნაღვლის უმწარე ეჩვენა ქალს ზეიმის პური, რადგან იგი თვალდაკსილ თავისიანების ნაფქვავი იყო. მოწყენა რომ შეატყეს, მიზეზი ჰკითხეს. თავისიანების ნახვა ისურვა. ჰკადრეს: ნუ ინებებო. არ დაიშალა. მაშინ მხლებლები იხმეს და გააყოლეს. სალხინო გუნება სავალალოდ შეეცვალათ. განვლო დარბაზი თუ არა, სამყოფელს ბნელი მიეფინა.

ტალანი რამ გაიარეს, თავისქალებით მოცული. ტალანის ბოლოს ჯურღმული ნახეს. ჯურღმულს კიბე ჩასდევდა, ყაფარი და ნესტიანი. გარემოს უკუნეთი ბნელი მეფობდა. როცა ქინქლილი აანთეს, ქალის თვალს საშინელება ეოცა: მიწურის ერთ კუთხეში ფეხმორთხმით იჯდა სამი აჩრდილი. წელზე ჯაჭვები ეჭირათ, რკინის სხვილ პალოებზე მიბმული. ქალს გონება მიელო. „მამაო“ — ძლივს უხმ. სამთა შუა მოხუცმა თავი ასწია. უგუგო და ჩაცვივნული უპეები მიაპყრო.

— ვისი ხმა მესმის? ცხადია თუ სიზმარი?!

ქალმა თავს იცა, ატმის ყვავილი დაიკაწრა.

— იკელ! შვილო!

— მე ვარ, მამილო!

— ახლოს მოდი: უცნაური სუნი მცემს.

— ეგ ნელსაცხებელია, მშობელო. მოხუცმა ხელები მოუხოჩინა.

— თავს რა გხურავს?

— მთავრის გვირგვინი.

— ტანს რა გაცვია?

— ყარყუმი და პორფირი.

— მაგის უფლება რამ მოგანიჭა?

— სიყვარულმა.

მოხუცს უსასოო გმინვა აღმოხდა: ყველაფერს მიხვდა. ცივად მოიშორა. მერე მარჯვენა აღაპყრო და ასე წარმოსთქვა:

ო, მაშ, აგრე, უჯიათოვ, მტერს
უღიმის ეგ თვალები?!
ეგ თვალები, შუქნავლები, ბნელის
ჩრდილით დაგებინდოს.
არ გეღირსოს ხილვა მზისა, ოქროდ
რომ გძლვნა დალალები,
გზის გამყოლმაც უსინათლო გადაგ-
ჩეხოს, არ დაგინდოს!
და ეგ ტუჩი, ბროწეულის ციატ კოკრად რომ გეშლება,
კეთრის ჩირქით დაგეწყლოს საამბოროდ მიტანილი;
სატრფოც ზიზღით ხითხითებდეს,
ვინძლო სახე შეგეშლება,
მნახველი თვალს გარიდებდეს, გაგიოხრდეს ასე ნირი!
ყურთა სმენას მოკლებული ვერ არჩევდე ალერსს, კრულვას,
მაქებარს თუ გაუგებელს ვერ მიუხდო საკადრისი.
ენა, ხოკად დაპობილი, გიმრავლებ-
დეს მწარე ურვას,
მამის სახელს ვერ ამბობდე; არც ეს
გეყოს საკმარისი:
მძიმე სევდით დათალხულსა გიკვნესოდეს მარად სული,
ვერსად ჰპოო სანუგეშოდ სამეგობრო თბილი ხელი,
ტკილი დედის გულცივობამ დაგისეროს ცხარედ გული,
უსასოო, უთვისტომო ტანტალებდე,
როგორც ხელი.
როცა ამდენ ტანჯვის მნახველს
გზად სიკვდილი შეგეყაროს,
შენს ოდესღაც ტურფა სახეს გაუყვითლდეს შიშით ფერი,
სამკურნალოდ მოტანილი თასი სისხლად დაგელვაროს,
რა კი ახლა, მოღალატევ, მტერს
ახარებ შენის ცქერით!..

ვულწასული ქალი მხლებლებმა სინათლეზე აიტანეს. მკურნალებსა და მისნებს უხმეს. თილისმები შებეს. მაგრამ ამაოდ. გავიდა ხანი. ქალს პირი უფროც გაუხშირდა: ატმის ყვავილი ბაიად შეცვლილა. თურმე ლი გულხოსო. [illegible] თობად: ვეღარაფერმა არგო.

ერთხელ ნადირობა გაუმართეს: იქნებ თვალის სეირმა გულის ყინული გაულხოსო. ქორი მიმინოააფრინეს, მეძებრები ტყეში შერალეს. უთვალავი ნადირი და ფრინველი დახოცეს. ქალს თითქოს გულისკარი გაეხსნაო. შესასვენებლად რომ ჩამოხდენ, მწევრებმა ანაზდეულად ირემი გამოაგდეს. მთავარი მყის შესჯდა. ცხენდაცხენ მიევლტო. ნადირმა ეტვრში შეიტყუა. დიდხანს ელოდენ. აღარ დაბრუნებულა. მაძებარნი დაგზავნეს: დღეს ღამე ენაცვლებოდა, ღამეს კი — დღე: მისი ასავალ-დასავალი ვერ მიიკვლიეს.

ორმოცი რომ გახდა, მთავრის საყვარელმა მეძებარმა — ელვარამ ტევრიდან სამაჯურშებმული მკლავის ძვალი მოათრია: თურმე, ჰენების დროს, ვით ძველი აღთქმის აბესალომი, გრძელის თმით ხეს დაჰკიდებოდა: სვავთა და ყორანთა კერძი გამხდარიყო..

მას შემდგომ ქალის პირი მზეს აღარ უხილავს: აი, იმ თეთრ კოშკში დაიმარხა თურმე და მარად უნუგეშო ცრემლით მოსთქვამს თავის მუხთალ ბედს. სტირის და უშრეტი ცრემლით ჩანჩექარ ედინება.



ამერიკელი ბორტმექანიკოსები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა ჩელუსკინელთა გადარჩე ნაში მონაწილეობისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. სტალინი

ი. რიჟოლაძის ნამუშევარი ბიუსტი

ი. ნიკოლაძის ატელიეში



ახალგაზრდა სტალინი

ი. ნიკოლაძის ბარელიეფი.

— ლენინის საუკეთესო მოწაფის მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის პიროვნების ღრმად შესწავლის საფუძველზედ ი. ნიკოლაძე იძლევა ბიუსტს რომლის მსგავსი ნამუშევარი ჯერ განახლებულ ქართულ პორტრეტულ ქანდაკებას არ ღირსებია.

ამხ. სტალინის ბიუსტი ეს ახალი სიტყვაა ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში. მისი ლენინის, ფ. მახარაძის, პ. მელიქიშვილის ბიუსტთა შორის.

მეოცე საუკუნის ახალი ფრანგული ქანდაკების ბუმბერაზ წარმომადგენლის ოგიუსტ როდენის შკოლის პრინციპებით შესრულებულია ამხ. სტალინის ბიუსტი;

აღნიშნულ ბიუსტის შესრულებას უდიდესი სიყვარულით მოჰკიდებია მცხოვანი ხელოვანი. მან პროლეტარიატს მიუძღვნა საუკეთესო შესრულებული პორტრეტი ბელადისა.

შორსმჭვრეტელობა, ენერგია ბოლშევიკური სიმტკიცე, აი ეს თვისებანი პროლეტარიატის ბელადისა —უდიდესი ვირტუოზობით არის ჩაქსოვილი ამხ. სტალინის ბიუსტში.

სწორედ ამიტომ ჩასცქეროდა ჭაღრა ხელოვანი თავის საყვარელ ნაშრომს, ის გარს უვლიდა თავის შემოქმედებას, მას სურდა მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა საყვარელ ბელადის პორტრეტში მოექცია და მართლაც არ მოსტყუებია ის, მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა, მან მოგვცა ბელადის ბიუსტი, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა საქ. საბჭოთა მხატვრობის გამოფენა თავისი მრავალრიცხოვანი მნახველებით.

ი. ნიკოლაძის ატელიეში დაიბადა ახალი შედევრი ქართული პორტრეტულ ქანდაკებისა.

ლ. ქიქოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობთებისა და ჩობანდალის მთებზე მაშინ თოვლი არ იყო ამდენარი. ხუსხიანი ზამთარი ისევ მწარედ იკბინებოდა. მზის უსუსური სხივები ვეღარ ათბობდა უდაბნოს ველებს. ხშირად ჯანღი ჩაწვებოდა ხოლმე მთებს შორის. საღამოს ნელ სიოს ისევ მოჰქონდა კუპრივით შავი ღრუბლები. რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი მიდამო ზამთრის თეთრ საბანში ეხვეოდა.

ახალ თოვლთან ერთად დუშინ მოიტანა გაზეთმა ეს ახალი ამბავი და იგი მომსკდარი ნიაღვარივით მოედო ფერმებს და ფარეხებს.

— კონკურსი საუკეთესო მწყემსზე—აი რაზედ ლაპარაკობდნენ და მსჯელობდნენ მაშინ მწყემსები დიფუხიზში, უდაბნოს ხევში, ალანდარში და ყარადუზის ველებში

გიორგი თევდორაშვილი, ნაბადში გამოხვეული, ხელში შაშხანით სდარაჯობდა თავის ცხვარს მინდვრად, როცა ეს ახალი ამბავი გაიგო.

- ძალიან კარგი საქმეა ეს კონკურსი—თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გიორგიმ და მზრუნველი თვალით გადახედა ცხვრის ფარას, რომელიც მადიანად ძოვდა ყორუღში.

გიორგი იმ დღეს გვიან დაბრუნდა ფარეხში. ცხვარი დააბინავა და თავის ამხანაგებთან საუბარი გააბა საუკეთესო მწყემსისათვის გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

— ამ კონკურსში გასამარჯვებლად, დაიწყო გიორგიმ,—პირველყოვლისა საჭიროა მუშაობა ისე დავაყენოთ, რომ დოლი ასი პროცენტით ავიღოთ. ყოველ 100 დედალ ცხვრიდან 95 ბატკანი მივიღოთ და შევინარჩუნოთ, გაზაფხულზე დედაცხვარის ცოცხალი წონა ავიყვანოთ 32 კილოგრამამდე.

— 32 კილოგრამი რამდენია — შეესიტყვა ერთ-ერთი მწყემსთაგანი.

— ორი ფუთი—გასცა პასუხი გიორგიმ და განაგრძო.

— შემოდგომაზე ცხვრის წონა ორფუთნახევარს უნდა უდრიდეს. ბატკანისა ფუთნახევარს. თითოეული დედა-ცხვარიდან და ბატკანიდან გაზაფხულზე უნდა გავკრიჭოთ სამი გირვანქა მატყლი. მეწველი ცხვრიდან წელიწადში 10 გირვანქა ყველი უნდა დავამზადოთ. ცხვარი დავიცვათ ნადირისა და ქურდებისაგან.

— ეს ჩემი შაშხანა თუ კარგად მექნება, ქურდი და მგელი ვერაფერს დამაკლებს—შეაწყვეტინა გიორგის სიტყვა ჯმუხა, შავგვრემან მწყემსმა, რომელიც გულმოდგინეთ უსმენდა საუბარს, მუხლზე თოფი გადაედო და სწმენდა მას ზეთში ამოსვრილ ჩვარით.

მაშინ აქ გახურებული დოლობა იყო. ჰქროდა აბეზარი ქარი. მოდიოდა წვიმა სეტყვა და თოვლი, მაგრამ ეს არ აშინებდა უდაბნოელ მწყემსებს, რომლებიც ხელებ დაკარწახებული განაგრძობდნენ მუშაობას პირველობისათვის, მეტი ბატკნისა და ცხვრისათვის.

ტყვილად არ ჩაუვლია მათ შრომას. აი დამთავრდა დოლი უდაბნოში და პირველობა გიორგის ბრიგადას შეხვდა. მათ 908 ცხვარი ჩააყენეს დოლში და 86 ბატკანი მიიღეს მთლიანად აღმოიფხვრა კაბერწების შემთხვევები.

— 95 პროცენტის ნაცვლად დაგრილებულ დედა-ცხვარიდან მიიღეს ბატკანი და შეინარჩუნეს 95.6 პროცენტის რაოდენობით. თითოეული ცხვრიდან კონკურსში გათვალისწინებულ ერთი კილოგრამი და 200 გრამი მატყლის ნაცვლად გაკრიჭეს ერთი კილოგრამი და 2[illegible] გრამი მატყლის ნაცვლად გაკრიჭეს ერთი კილოგრამი და 282 გრამი—ასეთია ციფრებში ის მიღწევები რომელშიდაც იმალება ამ ბრიგადის წევრთა უდიდესი ენთუზიაზმი და სიყვარული საერთო საქმისადმი. სიყვარული, რომელიც შეუძლია განიცადოს საბჭოთა ქვეყანაში მხოლოდ იმან, რომელსაც ამოძრავებს მომავლის იმედი და მტკიცედ სწამს ჩვენი გამარჯვების აუცილებლობა.

გიორგი თევდორაშვილის ბრიგადა ერთ თვეზე მეტია, რაც მთაში ავიდა ქცის იალაღებზე. ცხვარი ყველა ჯანსაღად და მსუქნადაა. მათი ბატკნები, რომ ნახოთ თოხლში ვერ გამოიცნობთ.

ქცის იალაღებზე მყუდროებამ დაისადგურა. მთვარე კარგი ხანია აღარ გამოჩენილა. ისმის ძაღლების შორეული ყეფა. ოდნავ ჟინჟღლავს. სიბნელე ჩამოწვა.

სიცივე—რომ თავისას არ იშლის? საკვირველია პირდაპირ ამ მთის სიდუმლოება. ივნისში თოვლსა და ასეთ სიცივეს სწორედ პირველად ვხედები ეხლა, მაგრამ ეს სრულიად არ უკვირს **ვალი ისკენდეროღლის**, რომელსაც თბილი ფარაჯა მოუსხამს, მხარზე შაშხანა გადაუკიდია და ფხიზლად დარაჯობს თავის ცხვარს. მისი კარავი მთის ფერდობზეა აგებული და ცხვარიც აქვე დაუბინავებიათ.

— ფრთხილად ვალი ისკენდეროღლი — ქურდს ბნელი ღამე უყვარს. ნადირმაც ასეთ დროზე იცის შემოტევა. ხომ იცი შენ კონკურსში ხარ ჩაბმული. ვალდებული ხარ რომ დაიცვა ცხვარი მტაცებელი მხეცებისა და ქურდებისაგან. მოუარე თვითეულ ცხვარს, როგორც თვალის ჩინს—არ დაივიწყო, რომ კონკურსში პირველობისათვის ბრძოლა თითეული მწყემსის სახელისა და ღირსების საქმეა—ეუბნება თავისთავს ვალი ისკენდეროღლი და ბოლთას სცემს.

მოულოდნელად მას ცხენების ფეხის თქარუნი შემოესმა. ღამე წყვდიადში ცხენოსნის ორი აჩრდილი შეამჩნია. ცხენის ფეხის ხმაზედ ძაღლებმა ასტეხეს ყეფა და „დაუპატიჟებელ სტუმრისაკენ" გაექანენ.

ცხვარი აიშალა—მწყემსებიც ფეხზე წამოდგნენ.

— ალბათ ქურდია — გაიფიქრა ვალი ისკენდეროღლიმ და შაშხანა მოიმარჯვა.

— ქიმ-სან ოლდაშ—შესძახა მან. პასუხათ ცხენების ჭიხვინი შემოესმა

— ჰეი! ოლდაშ! ბიზიმ ფერმინ ადამსან იოხ სა ქისმან? შესძახა მეორედ ვალი სკენდეროღლიმ და ნაბიჯი წინ გადადგა.

უცნობი სტუმრები უახლოვდებოდნენ ცხვრის ფარას და ის იყო ვალი ისკენდეროღლის სასროლად გამზადებული შაშხანა უნდა დაეგრია

.ლგბია, რომ ვრთ-ერთ **მწყემსთაგან-მა წამოიძახა.**

-- გიორგი და ნიკაა...

— რაზე პასუხი არ გამეცი... შვენი კაცი სხვისი კაცი რაისოდი... კალამ მარსხი მოკალი—ძოლეს ამტვრეეს ქართულს ვალი—ისკენდერ ოღლი და ახალ მოსულებს ყავრით დასურულ სუფთა კარავში იპატიჟებ.

ფერმის გამგემ **გიორგი დარაშვილმა** და მისმა მოადგილემ **ნიკა მეურმიშვილმა** ცოტახნით ეესაუბრა მწყემსებს. ცხვარი დაათვალიერეს და წასასვლელად მოემზადენ.

— ხვალ კანტორაში გამოცხადდი ჩემთან, იქ მოგელაპარაკები—აქარხალებული სახით მიმართა გიორგიმ ვალი ისკენდერ ოღლის. ცხენზე შემოახტა და ღამის წყვდიადში მიიმალა.

ისკენდეროღლის ვერ ეაიგო გიორგის გაჯავრების მიზეზი. ქანდაკიბასავით იდგა ერთ ადგილას და დიდრონი თვალებით ცხვარს მიაჩერებოდა.

მეორე დღეს მან ასეთი ცნობა მიიღო გიორგი დარაშვილის ხელის მოწერით.

„ბუჰალტერიას. № 9 ფარის უფროსი მწყემსი ვალი ისკენდერ ოღლი — დისციპლინის — დარღვევისათვის 20 ივნისიდან მოხსნილია სამუშაოდან გთხოვთ გაუსწოროთ ანგარიში“...

მწყემსმა ვალი ისკენდეროღლიმ თავიდანვე იგრძნო დარაშვილის არასწორი მოქცევა მის მიმართ და განცხადებით მუშათა კომიტეტს მიმართა.

მეურნეობის დირექტორმა გ. დარაშვილის განკარგულება უკანონოდ სცნო და გააუქმა.

ვალი ისკენდეროღლი თავის ოჯ-ლიბიბიშ აღადგინეს.

— მარიხი, რომ მომხდარიყო მაშინ რას იზამდი!

— რატომ ვერ იცანი!

— არც იმდენი ბნელი ღამე იყო ეუბნებოდენ მას ექეთ-იქიდან.

—ალახ არ ისოდი! კოინი აფარდი აიფ მან ოუჯამ[1])!—ისე გულ-

[1]) ვინა ხარ ამხანაგო!

[2]) ეი ამხანაგო! ჩიენი ფერმის კაცი ხარ თ სხვისი!

[3]) ცხვარი, რომ მოვპარაც სირცხვილს ხომ ვჭამდი!

უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის მესამე ფერმის უფროსი მწყემსი ამხ. ს. ურდულაშვილი

წრფელად და მაიარულად წარმოსთქვა ეს უკანასკნელი სიტყვები ვალი ისკენდეროღლიმ თითქოს მზად იყო სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის თავი გაეწირა.

უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის № 2 ფერმის მეცხრე ბრიგადას 900-მდე თოხლი ყავს მიბარებული. მთელი წლის განმავლობაში აქ მხოლოდ სამიოდე თოხლი მოკვდა სულ.

საქმიწარმოებისკომის და „კომუნისტის“ მიერ საოლითეთ მწყემსზე გამოცხადებულ კონკურსში ჩაბმის შემდეგ, ვალი ისკენდეროღლის ბრიგადამ სანიმუშოდ დაიყენა ცხვრის მოვლისა და დატვის საქმე.

ეს ახალი შინობა მდინარე ქცეის ნაპირზედ, რომ აუგიათ, უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის რძის დამამუშავებელი ქარხანაა. ბეტონის აივანთან რძიანი კასრებით დატვირთული ცურგონები, რომ თურგონებს სცვლიან იქ მიმღები, განყოფილებაა მოწყობილი.

მიხა ფილაურის ბრიგადიდანაა ეს ფურგონი, რძე, რომ მოიტანა ეხლა. დაათვალიერეთ თუ გსურთ მიღებული რძის ჩასაწერი დავთარი და ნახავთ თუ როგორ ასრულებს მიხა რძის დამზადების გეგმას.

გადაჭარბებით ასრულებენ კონკურსის პირობებს რძის დამზადებაზე მიხა თილაურთან ერთად **ლადო ჯარიაშვილის, იოსებ ფნაფქოშვილის და ვასო შიოშვილის** ბრიგადები.

რატომ გიკვირს თქვენ ამხანაგო ეს ამწევი ჭალი ქარხნის გვერდზე რომ აღუმართავთ. გულდასმით ათვალიერეთ ალბათ იმიტომ, რომ ჭალა თქვენ ვერ შეხვდებოდით რძის გადამამუშავებელ სხვა ქარხნებში. იგი ამავე ქარხნის მუშის **ავეგ ალიგიანის** გამოგონებაა 5 კაცის შრომა რომ შესცვალა ყოველდღიურად.

ისეც სათბობი საამქრო. მერმეთ იცით თქვენ რატომ ჩაუშვიათ თირმომეტრი ამ რძიან ქვაბში ნავთქურით, რომ ათბობენ მას?!

აკითხეთ.

— რძის ზედმეტი გათბობა ყველის გამოსალიანობას და ხარისხს აფუჭირებს. 25—30 გრადუსი სითბოა საჭირო, რომ კარგი ხარისხის „ბრინძა“ და თოშური ყველი მივიღოთ —გიპასუხებს **ივანე ქურხული** 33 წლის საწარმოო სტაჟი, რომ აქვს ყველის ქარხნებში მუშაობის.

აი ესეც ყველის დამამზადებელი საამქროა ლიითონის ვიწრო მილებით, რომ დაუსერავთ. ამ მილებით გადადის რძე სათბობი ქვაბიდან ყველის დამამზადებელ საამქროში. ბერმეთ და როგორ მოხდენილად მუშაობს აქ **იაგორ ვარამაძე** დაზგის წინ რომ სდგას ეხლა და იღიმება. კრანი მოუშვია და აქაფებული რძით ავსებს ხის დიდრონ კასრებს, რომ ნაბში კვეთის ჯხვნილი ჩაჭყარეს და საათანახევრის შემდეგ რძე ყიოლად აქციოს.

28624 კილოგრამი ყიოლი უნდა დაამზადოს წელს გიორგი ვარამაძემ დამისმა ამხანაგებმა.

— ერთი თვეზე მეტია, რაც ქარხანა ამუშავდა. ორი თვე ორივ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვრისა. გეგმას აუცილებლად შევასრულებთო — აცხადებენ ისინი.

ზუზუნებენ სეპერატორები. ციბრუტივით ტრიალებს რძის ნაღებით სავსე მანქანა. ესეც საპრესი დაზგა და დამკვრელი მუშა სოლომონ სომხიშვილი. ესეც საწყობი. კარაქით და ყველით დალაგებული ჭურჭლები. შესრულებული გეგმა და ციფრები:—20415 კილოგრამი რძიდან 1361 კილოგრამი ოქროსფერი კარაქი.

***

1927 წელს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის დაარსება რუქაზე უბრალო წერტილით აღინიშნა. მაშინ აქ 200-მდე თუშური დედა-ცხვარი იგი მოსავლიანად კოლაკ მორსიკა და ყოჩი მორიკეს ყაზბეგიდან და ნაკვეთაურის ყოფილ მოჯამაგირეს ლადო ჯარიაშვილს ჩააბარეს.

ცხვარს მალე დაეტყო მზრუნველობის ხელი. მეურნეობა მოკლე ხნის განმავლობაში გამრავლდა და გაიზარდა. —1933 წლის დამლევისათვის აქ 34,579 ცხვარი იყო სულ. —ეხლა 1934 წლის ივლისისათვის 46.367.

— გასულ წელს ცხვრის საერთო რაოდენობა 8.2 პროცენტით შემცირდა, ხოლო **წელს რაღაც შვიდიოდე თვის განმავლობაში იგი 34 პროცენტით გაიზარდა.**

სოციალისტური მეცხოველეობის საქმის ოსტატებმა **ზაქრო ფოლადაშვილმა მიხა ფულაურმა, პეტო გურაშვილმა, სიმონა ბასიტაშვილმა მიხა ჯანიაშვილმა და გიორგი თევდორაშვილმა გაიმარჯვეს.**

მეურნეობის პარტიული ორგანიზაციაც სამართლიანად ამაყობს ამ გამარჯვებას რადგან ეს არის ნამდვილი ბრძოლის შედეგი, რომელიც აქ ჩატარდა საქ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მითითების შესასრულებლად მეცხვარეობის განვითარების დარგში.

იზრდება მწყემსების ენტუზიაზმი.

უდაბნოში მრავლდება ცხვარი ბატკანი, ყოჩი, მჭედილა და თოხლი.

და 7 წლის წინათ რუქაზე აღნიშნული უბრალო წერტილი, უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის დაარსებას, რომ გამოხატავდა, გაიზარდა 27.000 ჰექტარამდე, რომელიც გადაჭიმულია იორმუღანლოდან—თაფლისხევამდე ჯანდარამდე და გარეჯიდან—ფოილოს ქესამანამდე.



ფირდოუსის გამოფენაზე
სპარსელი მწერალი ნეფესი, მ. ჯავახიშვილი, და ფირდოუსის გამოფენის მომწყობი მწერალი პ. ინგოროყვა

ფირდოუსიდან

მეცხრედ გავიდა ბართე ჭაბუკი ქეშრამ
ხმლის-მკვრელთან,
ორი მოსისხლე მტერი, ორი თავკაცი.
ხერხებს ბრძოლისას ცდიდენ
ყოველმხრივ,
ბოლოს ხელთ იღეს ინდური ხმლები.
თანისთანობით უკან იხევდა ქეშრამ
ბართესგან,
მან ჩაჩქანის თავს მძლედ ხმალი დაჰკრა:
ქეშრემის მკერდი ორად გაიპო,
შიშით გაივსო ბართეს მტრის გული...
ჯერ ის ცხენიდან დაბლა დაეშვა,
გვამი მიაბა თუჟის *) უნაგირს
და შემდეგ ტაიჭს კვალად მოაჯდა;
კიჟინ-დგრიალით მაღლობს ავარდა,
ვით ვეფხი მკრჩხალი,
ხელში ეპყრა ხმალი ინდური,
დროშაც სვიანი ხელში ეკავა,
ცხენზე ეკიდა თავდაყირული ქეშრემის
გვამი, —
ასე იძახდა: „გამარჯვებული არის
ხელმწიფე,
მარად იბრწყინოს იმის გვირგვინმა
მზის დისკოს ზევით!“

ალ. ბარამიძისა

თარგმანი სპარსულით

*) ცხენის სახელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ნადირობა

უფლისწულებს გულთბილად შეხვდნენ აფხაზეთის მთავრის ოჯახში. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა ხიზნების მიმართ კნეინა კესარია შერვაშიძემ. მთავარი მიხეილი, კარგა ხანია მტრული თვალით უცქეროდა დადეშქელიანებს, საძოვრებზე ატეხილი დავის გამო, მაგრამ სვანეთის მთავრის დასჯა, რაკი მაღალმა ღმერთმა ინება და ციოყ დადეშქელიანი უკვე აღარ განაგებდა სვანეთის სამთავროს, გადასწყვიტა, ლმობიერი მოპყრობით მოეგო მემკვიდრე მურზაყანის გული.

მურზაყანი თუთხმეტ-თექვსმეტი წლის თუ იქნებოდა. თუმცა თვალტანადობით ოცი წლის ჭაბუკსაც გაასწორებდა. მურზაყან უკვე ბრძენკაცობდა. ყმაწვილი იყო, მაგრამ სამთავრო საქმეებს დიდი გულისტკივილით ეპყრობოდა.

შერვაშიძის ოჯახში ხშირი იყო წვეულებები, ნადიმები. სტუმრებს შორის რუს ხემწიფის მოხელეებსაც ნახავდით, უცხოელებსაც. მურზაყან ყურს უგდებდა სასახლის კარზე გამართულ ინტრიგებს. განსაკუთრებით, მის ყურადღებას აფხაზეთის მთავარი მიხეილი იპყრობდა. კაცი მეტად სასტიკი და გაუტანელი. უამრავი მტერი ჰყავდა აფხაზეთის მთავარს... მაგრამ დაუნდობელი იყო მიხეილ შერვაშიძე, როგორც შინაურ ისე გარეშე მტრების მიმართ.

ცალი თვალი მუდამ ოსმალეთისკენ ეჭირა მიხეილს. აქით რუს-ხემწიფესაც ერთგულებისა და მორჩილებას ეფიცებოდა. (ისე ჰირივით სიძულდა რუსები). ამიტომ ძნელი იყო მუდმივ ინტრიგებში გახლართული მთავრის პოლიტიკური სახის გამორკვევა. მის წინაალმდეგ აშკარა ბრძოლა კიდევ უარესი. საცა არ მოელოდენ იქ გამოჭკრავდა კვანტს შერვაშიძე და დაგეშილ მტრებს სიცოცხლეს უშხამებდა.

მურზაყან შორი-ახლო უთვალთვალებდა უცნაურ მთავარს. მას მუდამ აოცებდა შარვაშიძის გაუტანელი ხასიათი, ჭარბი სიმკაცრე და ყველასადმი უნდობლობა. არ მოსწონდა მისი მუდამ მოღუშული სახე და ბოროტი თვალები. გასაფრენად მომზადებულ მერცხლის ფრთებივით წარბები, ჩატეხილი ნიკაპი. გარეგნული შეხედვით მიუკარებელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა მთავარი, მაგრამ ის მაინც მიმზიდველად ეჩვენებოდა მურზაყანს.

მურზაყანს ხელს უშლიდა გაუნათლებლობა. წერა-კითხვა იცოდა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო სასახლეში გადახლართულ ინტრიგების ასახსნელად. გარდა ამისა, უფლისწულს ყოველ ფეხის გადადგმაზე ეტყობოდა ველური ქცევა, გაუთლელობა.

კნეინა კესარიამ აღმზრდელები დაუნიშნა უფლისწულებს. განსაკუთრებული ყურადღებით მურზაყანს ეპყრობოდენ. უკითხავდენ წიგნებს. ასწავლიდენ ცეკვას... საზოგადოებაში თავის დაჭერას, სიმღერებს. და წარმოიდგინეთ არშიყობასაც.

ამით სარგებლობდენ სასახლის კარზე რავშემოყრილი თავადები, კნიაჟნები და მურზაყანს გასაქანს არ აძლევდენ. მორცხვობდა მურზაყან. ქალებთან საუბრის დროს ხშირად წითლდებოდა, მაგრამ ეს უფრო მოწონდათ სასახლის ინტიბარგატეხილ კნეინებს: სარგებლობდენ მურზაყანის მორცხვობით და, როცა მთავარი მიხეილ შინ არ იგულვებოდათ სიცილ-ხარხარით იკლებდენ სასახლეს.

მურზაყან და მომდევნო ალექსანდრე, საოცარი სისწრაფით ითვისებდენ სვანებისათვის უცხო ჩვევებს და განცვიფრებაში მოყვდათ მიხეილის სასახლეში მოკალათებული წარჩინებულნი.

მურზაყან შეეჩვია უცხო მხარეს. უცხო წრეში ცხოვრებას. მაგრამ მოწყენილობაც დასჩემდა სვანეთის ტახტის მემკვიდრეს. ხშირად მთელი დღე გამგუნებული იჯდა მურზაყან და მოწოლილ სევდას ეომებოდა. ვეღარც ქალები ართობდენ ახეთ

ინგლისელი ქალი ვ. ელისი და რუსი მწერალი ლ. ლეონოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სვანეთის სამთავროს მემკვიდრეს, ვერც აღმზრდელები. თვითონ კნეინა კესარიაც კი გაწბილებული რჩებოდა ხშირად და ეს გარემოება ყველას ერთნაირად აოცებდა.

სვანეთი იყო მოწყენის მიზეზი. რახანია შინიდანაც არაფერი ესმოდა გახიზნულ უფლისწულს. კნეინა კესარია ადვილად ხვდებოდა მურზაყანის მოწყენის ნამდვილ მიზეზს და უფლისწულის გასახალისებლად ახალ-ახალ გასართობებს იგონებდა.

ამ დროს აფხაზეთის მთავარი სამხედრო საქმეებით იყო დატვირთული და ხშირად ერთი კვირა ისე გავიდოდა, არაფერს იკითხავდა ხიზნების შესახებ.

ივლისი გვალვით დაიწყო. თაკარა ენთო ზღვის სანაპიროებზე. მთავრის ეზოში მუდამ გრილოდა. სოფელ ტამიშ, სადაც ესახლა მიხეილ შერვაშიძე, მაღლიდან დაჰყურებდა სანაპიროებს. ეზოში უხსოვარდროინდელი ჭანდრები და ალვის ხეები საამო ჩრდილსა და ნიავს თავაზობდენ სასახლის მცხოვრებლებს.

სადილზე შეიტყო ახსენეს. მიხეილმა ნადირობა მოისურვა და უხუცესებს დაავალა: შეემზადეთო. სკურჩაში აპირებდენ გამგზავრებას. სკურჩა მდიდარი იყო ნადირით: ირემი, ჯიხვი, ჯეირანი, შველი და არჩვი სკურჩას მუდმივი მობინადრენი იყვენ. გარეულ ღორებსაც ხშირად წააწყდებოდენ მონადირენი. წვრილფეხა ნადირსა და ფრინველებზე თოფის სროლას თითქმის არავინ ჰკადრულობდა.

სამთავრო ტყედ ითვლებოდა სკურჩას მიდამოები... ტყე დაცული იყო და ნადირიც უზომოდ მრავლდებოდა.

ცინცხალი დღე გათენდა. შერვაში-
ცინცხალი დღე გათენდა. შერვაშიბიან. ბაზიერნი ძაღლებს აგეშებენ ახოსალარს ცხენები გამოჰყავს საჯინიბოდან. მეთოფურები უკვე მზად არიან. მზად არიან მეჭურჭლე-მებარგეებიც. ამალა ფეხზე დგას.

გამობრძანდა მთავარი.

შეკაზმულ ცხენებს გადახედა. არაბული ყორანი შეათვალთვალა. მოეწონა მთავარს დადიანის ნაჩუქარი ყორანი. შეკაზმულობაც თვალში მოუვიდა. ოქროწყალში შეფერილი ვერცხლის უნაგირი კოხტად იდგა ზურგზე ყორანს. ოქრომკედით ნაქარგი საოფლე. მძივებით მოოჭვილი სადუე. შევერცხლილი ლაგამმორთულობა. ადვირი მოკლე, მაგრამ მუშკივით რბილი. მოელვარე უზანგები ალმასივით ლაპლაპებდენ.

მიხეილ ყორანზე შებრძანდება.

ყორანი მხედარს მოელის და მიწას ტორს ურტყამს ძალუმი ნებივრობით.

— ლურჯა სადღაა?!—იკითხა შერვაშიძემ.

— საჯინიბოში გახლავთ, დიდო ბატონო!—მოახსენა ახოსალარმა.

— გამოიყვანეთ!

ახოსალარმა შესიტყვება ვერ გაუბედა აღზნიან მთავარს. საჯინიბოსკენ გატრიალდა და ხმადაბლა აბურდღუნდა: დაამტვრევს ვილაცას და ხათაბალა გახდებაო...

გამოიყვანეს ლურჯა. კვიცი რომ იყო თავდაჭერაზე ეტყობოდა. თვალებს დამფრთხალი აცეცებდა. ცმუ-

სტუმრად მიჩურინთან

ანდრე ნეკსე მოსკოვში

ქალდა, ფეთდებოდა. ორი წამოსადეგი ვაჟკაცი ძლივს უმაგრებდა თავს გაუხედნავ აჯილოს.

ნესტორ აბდიბამ უკმაყოფილოდ ჩააქნია ხელი და ლურჯას ამრეზილი მზერა ესროლა. ასიოდ აჯილდა გაუხედნია აბდიბას. ასიოდ ორა მოუთოკავს და მოუთვინიერებია, მაგრამ ეს ლურჯა რა გაუხდა, მის მოსაგვას საშველი არ დაადგა. ვერ იქნა ნებიერ სიარულს ვერ დაჩვია.

ისე, გავარდნილი თოხარიკია ლურჯა. ტანწერწეტი. მუხლებმაგარი. განიერ მკერდს, მალალი, მაგრამ მოუდრეკელი კისერი უმშვენებს და ვაი იმას, ვისაც თვალწუნად შეხედავს თავნება მერანი. ჯერ შეჯდომა არავის უწერია მის ზურგზე, მაგრამ თუ ვინმემ იხელთა დრო და ზურგზე მოექცა, ჩამოხტომას როლი და აცდის... სადმე კისრით გადაუშვებს, დადგება და ამაყად ხვიხვინებს.

— ვინ არის ვაჟკაცი! — ცივად იკითხა შერვაშიძემ და წარჩინებულთ გადახედა.

ყველას გააცივა ლურჯას დანახვაზე.

ხმას არავინ იღებდა.

მურზაყან განზე იდგა და ბედაურს ათვალიერებდა. ლურჯას დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა სვანეთის უფლისწულს. ლურჯას მიუახლოვდა.

— გეშინიათ! — დასცინა თავისიანებს მთავარმა და ახლა სტუმრებს გადახედა, ვინ ხარ მამაცო.

კნეინა კესარიამ ვეღარ მოითმინა და ქოქოლა დააყარა თავმომწონე თავადიშვილებს. კნიაჟნებმა ქირქილი ატეხეს.

აქ არის კნეინა კესარიას ქალი ადილხან. ვერც ის ისვენებს წარჩინებულთა დუმილზე და თამშეო მარლანიას აჯავრებს. ოვემომწონე აფხაზი ბრაზს ვეღარ იმაგრებს, მაგრამ ლურჯაზე შეჯდომა მაინც ვერ გუბედნია.

— დაგლახდით! — იწყინა შერვაშიძემ.

— მე დავჯდები! — წამოიძახა მურზაყანმა და გაკეცილი მათრახი მესტებზე შემოარტყა.

ყველამ განცვიფრებით გადახედა სვანეთის მემკვიდრეს. ქალებმა ხმამაღლა გაიცინეს. გაუკვირდათ მისი კამბედაობა, მაგრამ იწყინეს კიდეც წათამამება თავხედობად ჩამოართვეს ვულუბრყვილო უფლისწულს.

— გული ატყუებს.

— ახალგაზრდაა და ეადვილება.

ახოსალარმა, უარის ნიშნად თავი ააქნია; თანაც დაატანა: დაიბრიყვებს, გადმოაგდებსო.

მურზაყან აინთო ახოსალარის სიტყვებზე. ნათქვამს აღარ შეაწბილდა. შეკაზმულ ლურჯას ჯიქურ მიადგა.

ადილხანმა ჩუმად ჩაიცინა. ვირვინ გაიგო დაცინვა იყო ეს ჩაცინება თუ უეცარი სიხარულით მოვარდნილი ალტკანების გამოძახილი.

— მოიტა აღვირი! — ბრძანების კილოზე მიმართა მურზაყანმა ხანშესულ ახოსალარს და შეწრიალებულ ლურჯას ზურგზე ხელი დაჰკრა.

შეტორტმანდა ლურჯა. მიწას ტორი დასცხო და ფრთხვინვას მოუხშირა. ყალყზე დადგომა სცადა, მაგრამ მუხასავით გაბჯგულ მურზაყანს დრეკა ვერ უყო გავეშებულმა აჯილდამ.

— ჰაიტ! — დასჭყივლა უცებ მურზაყანმა და თვალის დახაჟვაში ლურჯას ზურგზე შეაფრინდა.

თავნება აჯილდა განზე გახტა და მხედრის გადაყრავება მოინდომა. მაგრამ არანაკლებ თავნება სვანმა ისე მძლავრად მოსწია აღვირი, რომ უდრეკი კისერი ჩვარივით გაუხდა აჯილდას. მოსაგვა და ნებიერივით დაიმორჩილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნეინებმა ტაში შემოკრეს. მურზაყანს ჰაეროვანი კოცნა მესთავაზეს. სამაგიეროდ სასახლის წარჩინებულნი გაუნაწყენდენ უწლოვან უფლისწულს და ბურის თვალი უჩვენეს.

მურზაყანმა კვლავ დასჭყივლა ლურჯას. სასახლის წინ გაშლილ მინდორზე ჯერ ნაბიჯით გააცეკვა, ჭუსლი ჰკრა და გაფრინდა.

გაოცებული მიჩერებიან თავზეხელაღებულ მხედარს. უკვირს მიხვილ შერვაშიძესაც.

— გადმოაგდებს. — დაიჩემა ახოსალარმა.

ᲭᲣᲩᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ.
ᲭᲣᲩᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ ᲐᲛᲮ. ᲛᲣᲖᲘᲙᲐᲜᲢᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაამტვრევს... — დასძინა მარლანიამ.

— არა... დაიმორჩილა. — წყენით სთქვა ნესტორ აბდიბამ და თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

თვალმისაწიერზე მურზაყანმა ლურჯა შეაყენა. სასახლისაკენ მოაბრუნა და გამოაქანა. ამალას რომ მოუახლოვდა სადავე ისე მოსწია, ქანდაკებასავით გააშეშა, თითქო ფეხები შეუბორკესო.

— ყოჩაღ! — შეაგება შერვაშიძემ

— რაშია ნამდვილი! — ყრუდ ჩაილაპარაკა მურზაყანმა.

მთავარს არ გამოეპერა სტუმარ უცვლისწულის შექება და აფხაზურ ჩვეულების მიხედვით უმალ დაატანა: თქვენი ფეშქეში იყოს, ბატონიშვილო!

მურზაყან გაწითლდა სიხარულისგან. მხიარულ გუნებაზე დადგა.

ხვითქი ჩამოსდიოდა ლურჯას. კისერი გასაპნული გეგონებოდათ. მისი სუნთქვა სამჭედლოს ქშენას წააგავდა.

— დავიძრათ! — ბრძანა მიხეილმა და ყრანს მოახტა.

მურზაყანმა მოსაგვალი აჯილდა ნაბიჯში ჩააყენა და ამან კიდევ უფრო გააწიწმატა შეურაცხყოფილი თავადიშვილები.

თამშეღ მარლანია რისხვას ვეღარ იმაგრებდა. სამაგიეროდ კნიაჟნა ადილხან გვერდში ამოუდგა სვანეთის მემკვიდრეს და გზადაგზა მასთან მხიარული საუბარი გააბა.

***

გავიდენ სანადიროდ. ტყის მოსარეკად ხალხი დაგზავნეს. აუშვეს ძაღლები და შეწრიალდა აქამდე გარინდული მიდამოები.

წარჩინებულნი ჩაესაფრენ. მოუთმენლად ელოდებიან ნადირის გამოჩენას.

აგერ, შეუტიეს მეძებრებმა, ნადირი ბუნაგიდან წამოჰყარეს. ჩასაფრებული მთავარი მოთმინებას კარგავს...

გაისმა ლაწანი და რქებგადაწყობილი ხარ-ირემი შხუილით ლაექანა შერვაშიძის საფარისაკენ.

იქვე მახლობლად ჩასაფრებულმა მარლანიამ ვეღარ მოითმინა და ესროლა. დააცდინა. შერვაშიძე ბრაზით აინთო. მარლანიას მატრაკვეცობა პირად შეურაცხყოფად ჩათვალა მირონცხებულმა მთავარმა... მაგრამ დამფრთხალ ნადირს თვალი მაინც არ მოაშორა, ცხენს ქუსლი ჰკრა, მოსახვევიდან წამოუარა და ალალბედზე ესროლა.

შორს იყო, მაგრამ სულმობრძავი ირემი უხმოდ ჩაიკეცა.

გამხიარულდა მთავარი. სტამბოლს ფალიაზე აკოცა. „ნაცადი ლულაა. ვისაც თვალი უჭრის სირცხვილს არ აჭმევს“. მოაგონდა შერვაშიძეს მონებით ვაჭრის, ქალილ-ბეის



გამომგონებელი ჯონ სმითი. კალიფორნიელი გამომგონებელი ჯონ სმიტი მუშაობს ნახევრად მძიმე დირიჟაბლის მოდელზე(რომელმაც უნდა შეაერთოს დირიჟაბლის წონასწორობა თვითმფრინავის სისწრაფესთან.

სიტყვები. ქალილმა უფეშქეშა აფხაზეთის მთავარს ეს სტამბოლი.

„გაქნილი ვინმეა, — აედევნა ფიქრები აფხაზეთის მთავარს — მონებით ვაჭრობს, ქვეყნის ოქროს ხელს უსვრის და გროშებზე წუწუნებს. მუდამ ზარალი აკერია ენაზე. „ხეირ ოლსუნ!“ ურცხვად დაიფიცებს და ისე შემოგხედავს, შეგიბრალიბა... უჰ, ვაჭრების სინსილა. მაგათ წაბილწეს ჩვენი პატიოსანი ქვეყანა. შემოიტანეს ქუჩყი და უსაზღვრო ანგარება“.

— დიდო ბატონო! — მოულოდნელად დაარღვიეს მთავრის მყუდროება. შინაყმებმა ხელებგაკრული აფხაზი მოჰგვარეს მთავარს და მდაბლად მოახსენეს: ნადირობაზე შევესწარით.

— ვინ ხარ? — პირქუშად იკითხა შერვაშიძემ.

— ჭანბა გახლავარ, დიდო ბატონო!

— „ჭანბა გახლავარ“. — დაცინვით გაიმეორა მთავარმა და ცხენს სადავე მიუშვა. — ქურდი ბრძანებულხარ!

— ქურდი არა ვარ, დიდო ბატონო! გაჭირვებამ გამაბედვინა.

— ქურდი ხარ... ხელწამკრავი..

ჭანბა მიწას დააშტერდა და დანისლული თვალები ცრემლებით შეეტბორა.

— ქურდი ხარ! — დაადგა კბილი შერვაშიძემ.

— ეეჰ, ღმერთი სად არის, რომ სიმართლე დაინახოს.

ატირდა ჭანბა. შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა.

— ნანადირევი ზურგზე აჰკიდეთ, ალაიაში გაატარეთ და...

— არ გაუშვათ! — მოაგელვეს ცხენები ჯიხვზე გამოდევნებულმა მონადირეებმა.

— თუთხმეტი როზგი უწყალობეთ! — დატოვა ბრძანება მთავარმა და თვითონაც ჯიხვს გამოუდგა.

მარლანიას საფარი გადაყელა შერვაშიძემ. თამშუღ მარლანია შურით აინთო. საფარი გადაინაცვლა და მარტოდ დარჩენილი ფიქრებს მიეცა.

დიდი ხანია თამშუღ მარლანიას აფხაზეთის სამთავროზე უჭირავს თვალი. შერვაშიძეს ათასგვარ ხრიკს უწყობს. ბედი არ წყალობს მარლანიას. ვერც ჭკუა - გამჭრიახობით სჯობნის შერვაშიძეს და ბნელი ზრახვები განუხორციელებელი რჩება.

ხმაურობა მატულობს. ძაღლები ყეფით აყრუებენ მიდამოებს. მარლანიამ კნიაჟნა ადილხანს მოჰკრა თვალი და ცხენი თავქვე დააქანა.

ადილხან ნადირსაც ელოდება და... იქვე ჩასაფრებულ მურზაყანს აგზნებული თვალებით ულოლიავებს.

ადილხანს უკვე გულში ჩაუვარდა სვანეთის მემკვიდრე და ოცნობებს მასზე.

ის შენიშნა მარლანიამ. უცებ გეზი შეიცვალა, ცხენი მიატრიალა და მურზაყანს ზურგში ჩაუდგა.

— თამშუღ! — მოესმა მარლანიას ადილხანის წკრიალა ხმა.

— რა გნებავთ, ბატონიშვილო! — არ დააყოვნა მარლანიამ. დადიშქელიანს პირი მოარიდა და ადილხანს შორი-ახლო შეჩერდა.

— რატომ ხართ მოწყენილი? — ვაულიმა განგებ ადილხანმა.

— თავი მტკივა. სიცხემ თუ დამკრა.

მარლანიამ აბრეშუმის ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა. ცალი თვა-

ლით მურზაყანს გაჰხედა და ცხვირსახოცი ჩოხის გულთაფაში შეინახა.

წინ ადილხანი ედგა. მაგრამ ალრეხილი თავადიშვილი ისევ დადეშქელიანს მიჩერებოდა. ადილხანიან საუბარს, არ იქნა, ბოლო არ გამოეხასკვა. ორივენი კარგად გრძნობდენ ერთანეთისადმი გულცივობას. ადილხანს არ მოსწონდა თამშულ მარლანია... თამშულს მოსწონდა ადილხან, მაგრამ ეჯავრებოდა კიდეც. მიზეზი მურზაყან დადეშქელიანი იყო.

მახლობელ ხეში ჩოჩქოლი შეიქნა. ძაღლები ეერიშზე გადავადენ.

— შველი! — შეჰკივლა ადილხანმა.

— ესროლეთ, ბატონიშვილო! — უეცულად შესთავაზა მარლანიამ კნიაზმა ადილხანს.

გავარდა თოფი. შეტორტმანდა ნადარი. ერთი უკან მოიხედა და გაფრინდა.

— თქვენი მომერიდა, თორემ... — ჩაქნია თავი მურზაყანმა.

— დაჭრილია. დიდას გეფიცებით დაჭრილია... აი, თამშულს ვკითხ...

მოიხედა. თამშული უკვე მინდორს უახლოვდებოდა.

— როგორ გაიპარა?! — გაიკვირვა ადილხანმა, მაგრამ როდი იწყინა მარლანიას ჩამოშორება.

მურზაყან ნასიამოვნებიც კი დარჩა აბეზარ თავადიშვილს თავიდან მოშორებით.

— მურზაყან, გეფიცები, დაჭრილია!

— გვიადეთ, გავედევნოთ! — შეჰღიმელა ადილხანს მურზაყანმა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

***

საბრობა მოატანა. შეაჩერეს ნადირობა. ნანადირევს თავი მოუყარეს. ყველა განცვიფრდა დახოცილი ნადირის დანახვაზე.

მთავარი ზხიარულ გუნებაზეა. სამჯერ ესროლა დღეს მთავარმა და სამჯერვე მოხვედრა.

— სადილი! — ბრძანა შერვაშიძემ. ღილინით ჩხრიალა წყაროს მიუახლოვდა. ხელი დაიბანა. გაგრილებულმა ჩრდილი შეარჩია და მოისვენა.

გაშალეს სადილი.

ჩაციებული ღვინოები დოქებით ჩამოდგეს. ფეხზე დადგენ მერიქეფენი.

ვარდისფერი იზაბელა აჩინჩხალდა სასმურებში.

მიხეილმა ნადირობის სადღეგრძელო დალია. ყანწი თამშულ მარლანიას გადაულოცა.

კუშტად ჩამოართვა ყანწი მარლანიამ, გაავსო და უბრად დალია.

— რამდენჯერ დაიცდინე, თამშულ! — ნიშნის მოგებით ჩაუკრა შერვაშიძემ ამით აგრძნობინა, რომ მისი საქციელით ნაწყენი იყო აფხაზეთის მთავარი.

— დააცდენ, როცა წინ გელობებიან.

— თვალის ბრალია, თამშულ! ზოგჯერ მუხის ჩრდილი მუხად ეჩვენება ადამიანს.

— სწორი შენიშვნაა. ხშირად ჩრდილი მუხა ჰგონია ზოგიერთებს და მუხას კი ვერ ამჩნევს.

ქარაგმა ყველასათვის გასაგები იყო. მიუხვდა და იწყინა კიდეც მიხეილ შერვაშიძემ მიტოქე თავადიშვილის თავგასულობა. ბევრი აღარ დაიყოვნა: შინთან შეჯიბრი ვაქაცობად არ ჩამეთვლება, მაგრამ ბნებავთ თვალიც გავსინჯოთო, — გამოიწვია მთავარმა მარლანია და შინა-ყმას უბრძანა: სანიშნო წაიღეო.

თამშულს არ ესიამოვნა მთავრის უდროო გამოწვევა, მაგრამ უკან დახევა ისიროცხვილა.

წამოიშალენ. ასი ფეხის ნაბიჯზე დასდეს სანიშნო.

— ესროლეთ! — მიმართა მთავარმა მარლანიას.

— თქვენ ესროლეთ! — შეიყუმანდა საფეხურებელში ჩავარდნილი თავადიშვილი.

— ადილხან სად არის? — მოულოდნელად იკითხა აბდიბამ.

შეწრიალდენ. ამაოდ თვალი გადაავლეს. არსად სჩანდა.

— დადეშქელიანი ადილხანს არ მოაწყენს. — ღვარძლით შენიშნა მარლანიამ და სანიშნოს ხელმოჩრდილვით გაჰხედა.

— არც მურზაყან სჩანს? — იკითხა შერვაშიძემ. — გაგზავნეთ კაცები. თამშულ, თქვენი რიგი იყოს.

— თქვენ გერგებათ, ბატონო ჩემო, ესროლეთ! — გამოიცვალა კილო მარლანიამ.

ესროლა შერვაშიძემ.

— წერტილში გახლავთ! — დაიძახა შინაყმამ, რომელიც სანიშნოს უთვალთვალებდა.

ბოემზადა მარლანია. აცახცახებული ნერვები ძლივს დაიწყნარა. დაიხარა და დაუმიზნა.

მინდორზე მურზაყან გამოჩნდა. წინ ადილხან მოაგილვებდა აქაფებულ ცხენს.

ადილხან დაელვებაში გაჩნდა სანიშნოსთან და თოფიც გავარდა.

უეცრად მოხდა ეს ამბავი. გაუთხილებაც კი ვერ მოასწრეს.

ჯერ თოფის ხმა არ მიწყნარებულიყო, რომ ადილხანის ცხენმა ჩაიჩოქა... მხედარმა თავი ვეიოარ შეიმაგრა და ბალახებში გადაეშვა.

— მარცხია!

— მოჭკლა!

— თამშულ!

თავზარდაცემულნი ადილხანისკენ გაექანენ.

სანამ წარბინებულნი ადილხანს მიუახლოვდებოდენ, მურზაყან ლურჯადან გადმოფრინდა, ადილხან წამოაყენა და ჩურჩულით ჰკითხა: „ამამ არაფერი გეტკინათო.

ადილხანს თავი სიმარცხვინეთა, მურზაყანის მადლიანობა [illegible] ...კა და ღაბილით [illegible] ...რო.

ადილხან ფეხზე წამოდგა. ნაფუბავები გაისწორა, ლაბის ქალთა დაიბერტყა.

ცხენი ადგილიდან ვეღარ იძვროდა. მარლანიას ნასროლ ქაჩაჩი გაეხვრიტა ადილხანის ცხენისთვის.

— ყოჩაღ, კარგი სროლა გცოდნია თამშულ! — კვლავ დასცინა შერვაშიძემ და რაკი შემეხვეოა ეუმარცხოთ ლასროლა, სუფრისკენ მხიარულად გამოემართა.

— უნებლიედ გამეცარდა. — იმართლა თავი მარლანიამ. — ხმაურობა რომ გავიგონე, თოფის ჩამოღება განვიზრახე, მაგრამ უეცრად სახლეტს თითი გამოეკარი და...

— მარცხენა ფეხზე ამდგარხართ, თავადო! — წყენით ჩაურთო მოხუცმა აბდიბამ და აყოლებულ ცხენს ფეხზე მალამო დაადო.

— მაშ, ყაბულს არა ხართ, თამშულ!?

— თუ დამიჯერებთ, სიმართლეს მოვახსენებთ.

— რა უფლება გვაქვს არ დაგიჯეროთ — ორაზოოვნად მიუგო მთავარმა და თან დაატანა: ესროლეთ მეორეჯელ!

მარლანიამ უყოყმანოდ გატენა თოფი, დაიჩოქა და კვლავ ესროლა.

— მარჯვენა ყურეში! — დადასტურა მოთვალთვალე შინაყმამ.

— რას იტყვით, თავადო.

— მჯობნით და ეს არის... ამას ისედაც კარგად ვამჩნევ.

— ისევ ქარაგმა?

— არა, მარლანიების სიგლახის ქარაგმა ვეღარას უშველის.

— თუ ასეა თითი მოხარეთ!

მარლანიამ თითი მოხარა. გაცეცხლებულმა ყანწი გაავსო და შერვაშიძის სადღეგრძელო დალია.

— ძალა მიჩვენე...

— გაქციელს გიჩვენებო... ჰი. ჰი.. ჰი! — აქირქილდენ შინაყმები, რომელთაგან ერთი ნესტორ აბდიბა იყო. ნესტორს ჭირივით სძულდა მარლანია. დღეს თვალდასანახათ შეეძულდა. ცხენის მარცხის გამო.

მურზაყანმა ყური მოჰკრა აბდიბას ქარაგმას და ჩუმად გაიღიმა.

გაახურეს ყანწები.

თავს ვეღარ ართმევენ წამოკრულ სადღეგრძელოებს.

მარლანია თვალებდაბლეზილი მიშტერებია მშვენიერ ადილხანს. ასლოკინებს და გაცეცთილ ქათანაურებს ოშნოდ ბლოკინებს.

წარბინებულნი სიცილს ვეღარ იმაგრებენ. აქამომეზე ხელჩაჭიდებულნი იგუდებიან.

გალმა დამრეცზე შვლის ნუკრმა ჩამოირბინა. დაფეთიებული თვალებით დახოცილ ნადირს მიაშტერდა და გულშემზარავი ხავილი მორთო.

ჩვეული იყო ნუკრი, დალმართზე თავს ძლივს ამაგრებდა.

აბდიბამ ნუკრზე მიუთითა წარჩინებულებს.

მართალია, ნუკრის დანახვაზე გამოფხიზლდა და თოფს ხელი დაატანა.

— არვინ გაბედოს. — მკვახედ სთქვა შერვაშიძემ და შუბლი შეიკრა.

ხმაურობაზე ნუკრი შეკრთა. ტყის უკენ შეტრიალდა. ერთხელ უკან მოიხედა და გულამოსკვნით დაიხავლა.

აბდიბას გული აუჩუყდა და მოწოლილი ცრემლები ვეღარ შეიმაგრა.

გაუკვირდათ მოხუცის საქციელი. შერვაშიძემ თვალი მოარიდა მოხუცის ცრემლებს და ავსებული ყანწი გადაღვარა.

აბდიბას „ნუკრი" ამ დროს თუთუნს მარგლიდა ტრაპიზონის მიდამოებში. შვიდი წლის [illegible] აბდიბას შვილი არ უნახავს. [illegible], რომ გაძლოს შვილს მან [illegible] როგორც ის სა[illegible] ისილავს ამიერიდან დაკარგულ დედას.

აბდიბას ცრემლები ვერავინ ვერ გაიგო. ვინ იფიქრებდა, რომ ობლად დარჩენილ ნუკრის დანახვაზე, აბდიბას შვიდი წლის წინად მონად გაყიდული შვილი მოაგონდებოდა?!

კინო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე

თანამედროვე კინემატოგრაფიის საწყისად ჯადოფანარია ცნობილი. საქართველოში 1900 წლამდე არამც თუ კინოს, არამედ უბრალო ჯადოფანრის შესახებაც არაფერი იცოდნენ. სწორედ ამ წელს პირველად ერთმა ფოტოს მოყვარულმა დავით დიღმელმა იყიდა მოსკოვის ფირმა შვაბესაგან ჯადოფანარი მთელი თავისი მოწყობილობით. ამავე დროს დ. დიღმელმა იყიდა ძმ. ლუმიერების კინო-აპარატი და რამდენიმე ათეული ლენტი თითო 20-30 მეტრის სიგრძისა. შინაარსი ამ ლენტებისა ყოვლად პრიმიტიული იყო: ტვირთის გადმოზიდვა, ბანაობა პლიაჟზე, მატარებლის მოსვლა სადგურზე და სხვ. დაიწყო ამ პრიმიტიული სურათების ექსპლოატაცია და დ. დიღმელი თავის შვილით ა. დიღმელით (ეხლა ცნობილი კინო-ოპერატორი სახკინმრეწვში) გაემგზავრა საგასტროლოდ „ჯექ მორისის" ფსევდონიმით საქართველოს ყველა ქალაქებში.

მაგრამ ამაზე საქმე არ შეჩერდებოდა. კინემატოგრაფი ჩქარი ტემპით ჯადოფანრების ადგილს იკავებდა. ტფილისში გაჩნდნენ გასტროლიორები, რომელთაც თან ჩამოქონდათ მრავალი სხვადასხვა შინაარსის კინო-სურათები და 1904 წელში ტფილისში უკვე გაიხსნა პირველი მუდმივი „კინო-ილუზიონი" ივანიცკაია და როზეტისა ეხლანდელ რუსთაველის პრ. (სადაც ეხლა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაა). მალე ივანიცკაია გამოეყო როზეტის და ცალკე „კინო-ილუზიონი" გახსნა იმავე ქუჩაზე, სადაც ეხლა შიხმანის ფოტოგრაფიაა. ამ შენობაში იყო პატარა ელექტრო-სადგური, რომელიც ენერგიას აძლევდა ივანიცკაიას „კინო-ილუზიონს". მაგრამ ერთხელ ელექტრო-სადგური გაჩერდა და კინო-ილუზიონმა შესწყვიტა მუშაობა. ივანიცკაიამ დახმარებისათვის მიმართა ახალგაზრდა კინო-სპეციალისტს ალექ. დიღმელს, რომელმაც შესძლო ელექტრო-ენერგიის მიღებამდე მეავზადის განათების გამოყენება. ამრიგად კინო-სეანსები არ შესწყდა და ივანიცკაიამ აიყვანა მუდმივ სამსახურზე ა. დიღმელი, როგორც კინო-მექანიკ-დემონსტრატორი. რა სურათებს უჩვენებდნენ 1904 წელში და შემდეგ? ეს იყო პატარა მელოდრამები, კომედიები, ფანტასტიური და კომიკური სურათები სიგრძით არა უმეტეს 500 მეტრისა თვითეული. 1905 წელში ივანიცკაიამ მაშინდელ მუშტაიდის ბაღში ააშენა კინო-სეანსებისათვის საზაფხულო შენობა.

ასე გადიოდენ წლები. ტფილისში გაიხსნა კიდევ სხვა კინო-თეატრები, მაგრამ არავინ ფიქრობდა საკუთარი კინო-წარმოების შექმნაზე, სანამ ისევ იმავე ივანიცკაიამ არ ჩამოიტანა მოსკოვიდან „პატეს" აპარატი, ასლების გადამღები აპარატი და რამდენიმე კიუვეტი ფირის გადამუშავებისათვის. ამრიგად შეიქმნა შესაძლებლობა საკუთარი კინო-გადაღებების მოწყობისათვის და ა. დიღმელი შეუდგა ადგილობრივი ქრონიკის გადაღებას. ცოტა ხნის შემდეგ ტფილისის კინო-თეატრების ეკრანზე პირველად იქნა ნაჩვენები „გაზაფხულის დღეი" საკუთარი წარმოების ქრონიკა. ეს იყო 1910 წელში. შემდეგ კი საქართველოში პირველმა კინო-ოპერატორმა და ლაბორანტმა ა. დიღმელმა გადაიღო ლადო მესხიშვილის იუბილე, რძის ფერმა ბაკურიანში, „მცხეთობა", ნადირობა ყარაიაზში და სხვ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ეს პირველი კინო-პროდუქცია იმდენად დამაკმაყოფილებელი იყო, რომ „ძმ. პატეს" მოსკოვის განყოფილება დიდის სიამოვნებით ღებულობდა ამ ნეგატივებს სახელგანთქმულ „პატე-ჟურნალისათვის" პარიზში.

1918 წელს ეხლანდელ „კინო-ოქტომბრის" (ყოფ. აპოლო) შენობაში მოეწყო პირველი კინო-ლაბორატორია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიც. რას წარმოადგენდა ეს „კინო-ლაბორატორია"? ორსართულიანი ფიცრის, არა უმეტეს 2-ნახ.-4 მეტრის, ოთახს, რომელიც კინო-თეატრს „აპოლოს" ეკრანის უკან იმყოფებოდა. ამ პატარა სივრცეზე იმყოფებოდა შესაღები, გამრეცხავი, ასლების გადამღები და სხვ. „განყოფილებანი"!.. ამვე გვერდით — საშრობი ბარაბანი 250 მეტრიანი, ჭერქვეშ კი რკინის ბაკი 200 ვედრის წყლის მარაგით. ლაბორატორიის ინვენტარი: 5 კიუვეტი, 10 ჩარჩო (თითო 20 მეტრი) ასლების გადამღები აპარატი „პატე", სასწორი, ორი ბოთლი და ვედრო!.. ეს ყველაფერი ზევითა სართულში, ქვემოთ კი — „საპროექციო" ეკრანი, რომლის სიდიდე საწერ ქაღალდის ერთ ფურცელს არ აღემატებოდა! ასეთი იყო პირველი კინო-ლაბორატორია საქართველოში. რა სამუშაოს აწარმოებდა იგი მაშინ? იმ დროს კინო-სურათებს იძენდა და შემდეგ აქირავებდა მათ მთელ ამიერ-კავკასიაში და საშუალო აზიაშიც ვინმე კომერსანტი პირონე. და აი ამ ნაყიდ კინო-სურათების ხელახალი დამონტაჟება და მათთვის ახალი წარწერების დამზადება ხდებოდა ა. დიღმელის „კინო-ლაბორატორიაში".

ცნობილია, რომ მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა კერძო კაპიტალისტური მეურნეობის და უცხო კაპიტალის ყოველმხრივ ხელის შეწყობაზე იყო დამყარებული, ამიტომ შესძლო უცხო კაპიტალისტმა პირონემ თავისი საკუთარი კინო-წარმოების ორგანიზაცია. 1919 წელს მან მოიწვია რეჟისორი ვ. ბარსკი, რომელმაც ოპერატორ დიღმელის დახმარებით გადაიღო პირველი მხატვრული კინო-სურათი „თავქოკვეთილი გვამი" ექვს ნაწილად. ამავე წელს გადაიღეს ხუთნაწილიანი მხატვრ. კინო-სურათი „შოპენის ნოკტიურნი" და პატარა კომედია „ნუ გძინავს" ორ ნაწილად. ვინაიდან ატელიე არ არსებობდა, გადაღებანი სწარმოებდა კინო-თეატრ „აპოლოს" ფოიეში და კანტორაში ოთხი „იუპიტერის" საშვალებით. კაპიტალისტ პირონემ განიზრახა საქმის ფართედ და უფრო სერიოზულად დაყენება, რისთვისაც დაიქირავა პლეხანოვის პრ. რამდენიმე დარაბა, სადაც იმყოფებოდა იმ დროს განკევიჩის სახელოსნო. დარაბების შორის არსებული კედლები მოიხსნა და ამ რიგად 1919 წელს მოეწყო კინო-ატელიე იქ, სადაც ეხლა სახკინმრეწვის შენობაა. ამ ახლად მოწყობილ ატელიეში რეჟ. სიმონვმა გადაიღო კინო-სურათი „ცეცხლისთაყვანისმცემლები" (ოპერატორი ა. დიღმელი). ყველა ზემოაღნიშნულ სურათების სიუჟეტებს არაფერი საერთო არ ქონდათ ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან ან ისტორიასთან. ამიტომ მენშევიკებმა მოინდომეს საკუთარი „ნაციონალური" ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კინო-წარმოების შექმნა, რისთვისაც 1920 წელს პირონესაგან შეიძინეს მთელი კინო-წარმოება 7.500 ათასი მან. ბონებით. დირექტორად დანიშნეს გერმ. გოგიტიძე და მოასწრეს კიდევაც ერთი კინო-სურათის გადაღება. ეს იყო „ქრისტინე" ა. წუწუნავას მიერ გადაღებული. მაგრამ ამით შესწყდა მენშევიკური „კინო-წარმოება", რადგან 25 თებერვალს 1921 წელს შესწყდა სამუდამოდ მათი ფართაშიც.

შალვა ალხაზიშვილი

მოცლილი მკითხველის შენიშვნები

1. შესავალი

ეს წერილი არც გამოკვლევაა და არც მიმოხილვა. აქ იმ სარეველა ბალახზე უნდა ვილაპარაკოთ, რომელიც ხანდისხან კიდევ გვხვდება ჩვენს ლიტერატურაში.

ერთმა პოეტმა ველარ გაუძლო სინდისის ქენჯნას და სთქვა:

«Как гибнет бумага во цвете лет,
Как мучат ее, как кричит она»...

ცრუობს ეს პოეტი. სცდება. უბედურება იმაშია, რომ ქაღალდი ვერ ყვირის, თორემ ამდენხანს რა გააჩუმებდა!

2. ახალი აღმოჩენა

სანდრო ეულმა ისეთი განსაცვიფრებელი აღმოჩენა მოახდინა, რაც დღემდე სიზმრადაც კი არ მოლანდებია არც ერთ მომაკვდავს. ის სწერს:

„გავიდა ცეცხლით ავსებულ
გულით
და ბინად ნახა მინდვრად
კარავი
სად მუშების ცელით და
ცულით
და სად მენავე დასცურავს
ნავით".

ნუ გაგიკვირდებათ: მინდორზიც შეიძლება ნავით ცურვა, წარმოიდგინეთ ვრცელი მინდორი, ზედ მისცურავს ნავი, მენავე მარჯვეთ უსვამს ნიჩბებს ბალხებში და ქვებში; აქეთ გზის პირზე დგანან გლეხები და იძახიან:—მენავე, გამოდი ამ ნაპირზე, მეორე მხარის გვინდა გასვლა და გვიშველე რამეო.

3. დიალოგი და მონოლოგი

ქვემოდმოყვანილი დიალოგი, როგორც მე მგონია გამოდგება ქრესტომატიაში შესატანათ:

— „ორი მანეთი.
— მანეთ-ნახევარი.
— ათი შაური.
— სამი აბაზი.
— ექვსი შაური".

ეხლა ვნახოთ ამავე ავტორის მონოლოგი, რომელიც გამოხატავს გმირის ღრმა ფსიქოლოგიურ განცდებს:

„მიყვარს"
„მძულს".
„მძულს".
„მიყვარს"
„რისთვის გიყვარს.
„რისთვის გძულს".

ეს დიალოგი და მონოლოგი ამოღებულია გ. ბააზოვის რომანიდან:

4. ცხენოსნობის საუკეთესო სპეციალისტი

კონსტანტინე გამსახურდიამ დასწერა წერილი ტოლსტოის შესახებ, ამ წერილში ის ამბობდა:

„ჰაჯი-მურატი, ჩემის აზრით, ტოლსტოის ქმნილებათა შედევრია. მხოლოდ დიდი დამკვირვებელი და ეპიკოსი თუ შენიშნავდა ასეთ წვრიმალს უცხო ერის ყოფაცხოვრებაში: „ჰაჯი-მურატი ცხენიდან ჩამოხტა—იგი ოდნავ კოიკოჭლობდა და ისე მოდიოდა". ვინც კავკასიურ უნაგირზე არ მჯდარა, შესაძლოა მან ვერც გაიგოს, რატომ მოიკოჭლებდა პირველ ნაბიჯების გადადგმაზე ახლად დაქვეითებული მხედარი"?

რას ამტკიცებს ეს? ამტკიცებს ჯერ ერთი იმას, რომ გამსახურდიას „ჰაჯი-მურატი" წაკითხული არა ჰქონია. მან არ იცის, რომ ჰაჯი-მურატი კოჭლი იყო. აქ კავკასიური უნაგირი არაფერ შუაშია და სხვათაშორის, წინააღმდეგ ავტორის აზრისა, რუსულ უნაგირზე უფრო ნაკლებად ჰლის მხედარს. შემდეგ: დაღლილობა სხვა არის და კოჭლობა სხვა. აი თვით ტოლსტოი რას ათქმევინებს თავის გმირს:

„ჩვენ მივდიოდით მოკსოხის მახლობლად, ბილიკი იყო ვიწრო, მარჯვნივ იყო კლდე ასი ორმოცდაათი საჟენის სიმაღლე. მე მოვექეცი სალდათს მარჯვენა ძხრიდან, კლდის ნაპირისკენ. სალდათმა მოინდომა ჩემი შეჩერება, მაგრამ მე გადავხტი კლდისაკენ და თან გადავითრიე იგი. სალდათი მოკვდა, მე კი ცოცხალი გადავრჩი. გვერდები, თავი, ხელები, ფეხები—ყველაფერი ჩალეწილი მქონდა. გამიბრუვდა თავი, ჩამეძინა. გამეღვიძა, მთლად სველი ვარ სისხლით. მწყესმა დამინახა დაუძახა ხალხს, წამიღეს აულში. გვერდები, თავი მომირჩა, მომირჩა ფეხიც. მაგრამ დამოკლდა.

და ჰაჯი-მურატმა გამოსწია თავის გამოუდეგბელი ფეხ[illegible] XIII).

აი რატომ კოჭლობდა ჰაჯი-მურატი! მე-XXIII თავში კიდევ ვკითხულობთ: „ამ აზრებმა ისე აღელვეს ჰაჯი-მურატი, რომ მან ველარ შესძლო მეტ ხანს ჯდომა. ის წამოხტა და კოჭლობით საჩქაროდ მივიდა კართან, გააღო და დაუძახა ელდარს".

კომენტარიები საჭირო აღარ არის;

5. თავისებური უგუნურება

ზოგიერთ პოეტს ძალიან უძნელდება თავისი აზრის გამოთქმა, მოიფიქრებს რამე აზრს, მაგრამ მას ისეთი საშინელი ფორმით გადმოგვცემს, რომ ლექსს აზრი ეცვლება. სერიოზული დაფიქრება და ლექსის კულტურაა საჭირო ისეთ უალრესად დიდებულ თემის შესახებ, როგორიც არის ლენინის ცხოვრება. ერთი პოეტი კი აი რას სწერს:

„ჩვენს ბელადს ყიდდენ ორას
ათასად
და ჯაშუშები ყვიოდნენ
დაგეშეს
ვინც გაიმეტებს ბელადს ამ
ფასად
მუშათა რისხვი ტყვიებს
დაუშენს".

ე. ი. გამოდის, რომ გაყიდვის წინააღმდეგი არც თვითონ არი, მაგრამ ფასი ეცოტავება. ამის თქმა რასაკვირველია მას არ უნდოდა, მაგრამ ორი სიტყვა ვერ გადააბა ერთი-მეორეზე ხეირიანად და ამიტომ ასეთ შედეგამდე მივიდა.

მოცლილი მკითხველი.



წითელი ქარავნები პურის მიმღებ პუნქტთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყლის ახალი აუზი შადრევანით
პლეხანოვის პროსპექტზე კინო დამკვრელის გვერდით

მაუდის ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა
მაუდის ფაბრიკის საფაბრიკო საქარხნო სკოლა ამზადებს ახალ კვალიფიციურ ძალებს. სურათზე: მასწავლებელი ამხ. ახვლედიანი უხსნის მოწაფეებს საქსოვი დაზგის მოწყობილებას.

ფასი 60 კაპ.

847

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის მილიტარიზაცია იაპონიაში

სტამბა „კომუნისტი", ქამოს 4. № 68. მთავლიტის რწმუნებული № 128.